Diversey Easy foam VF32

ქლორზე დაფუძნებული ქაფიანი სარეცხი საშუალება

აღწერა:

Easy foam VF32 არის ქლორირებული ქაფიანი თხევადი სარეცხი საშუალება, რომელიც გამოიყენება ზედაპირების გასაწმენდად საკვების, სასმელების და რძის პროდუქტების მრეწველობაში.

ძირითადი მახასიათებლები:

Easyfoam VF32 შეიცავს კაუსტიკური ტუტეს, ჰიპოქლორიტის და დამატენიანებელ (მაღალი ქაფის) ნივთიერებების ნაზავს. ეფექტურად აშორებს საკვებისგან გამოწვეულ დაბინძურებას, როგორიცაა: მცენარეული და ცხოველური ცხიმები, სისხლი, ცილა და სხვა. გარდა ამისა, ჰიპოქლორიტის არსებობა ხელს უწყობს ორგანული და მცენარეული ლაქების მოცილებას და ხელს უშლის ცილოვანი ფირის დაგროვებას, წარმოქმნას.

Easyfoam VF32 რეკომენდირებულია ყოველდღიური გაწმენდისათვის ბოსტნეულის გადამუშავების, კონსერვის, ღვინისა და გამაგრილებელი სასმელების საწარმოებისათვის. ასევე პროდუქტი შესაფერისია ხორცისა და თევზის გადამამუშავებელ მრეწველობაში გამოსაყენებლად.

Easyfoam VF32 ის გამოყენება შესაძლებელია ყოველდღიურად, იატაკის, კედლების, საჭრელი დაფების, კონვეიერის და სხვა გადამამუშავებელი მოწყობილობების გასაწმენდად.

პროდუქტის გამოყენება ასევე შესაძლებელია ქაფწარმომქნელი დანადგარებით.

უპირატესობები:

- არის ეკონომიური და იძლევა მაღალეფექტურ დასუფთავებას.
- ზრდის დასუფთავების ოპერაციების ეფექტურობას, აუმჯობესებს პროდუქტიულობას და ხარისხს.

გამოყენების წესები:

Easyfoam VF32 გამოიყენება კონცენტრაციით 2-10 %v/v დამოკიდებულია დაბინძურების დონეზე. გამოყენების შემდეგ აუცილებელია საფუძვლიანი ჩამორეცხვა.

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული ფორმა: გამჭირვალე, ღია ყვითელი სითხე

შედარებითი სიმკვრივე [20 ºC] - 1.16

Ph (1% ხსნარი 20 ºC–ზე) - 12,6

ჟანგბადის საჭიროება ქიმიკატში (COD) - 80,1 gO2/kg

აზოტის შემცველობა (N) 1 გრ/კგ

ფოსფორის შემცველობა (P) None

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე

შეინახეთ თავისივე კონტეინერში დახურულ მდგომარეობაში ან (სადაც შესაძლებელია) სპეც. განკუთვნილ ცისტერნაში, მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას. პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.

პროდუქტის თავსებადობა

Easyfoam VF32 – ის უსაფრთხოა გამოსაყენებლად მასალებზე, უჟანგავ ფოლადზე, რომელიც გვხდება სასმელების და კვების მრეწველობაში, რეკომენდირებული პირობების გათვალისწინებით. გაურკვევლოს შემთხვევაში, მიზანშეწონილია მასალის შემოწმება-შეფასება გამოყენებამდე. არ შეიძლება პროდუქტის გამოყენება რბილ მეტალზე, როგორიცაა ალუმინი, სპილენძი და სხვა. გამოყენების შემდეგ აუცილებლად საჭიროებს ჩამორეცხვას.

ტესტირების მეთოდი:

რეაგენტები: 0.1 N მარილმჟავა ან გოგირდის მჟავა
0.1 N ნატრიუმის თიოსულფატი
ფენოლფთალეინის ინდიკატორი

პროცედურა: დაამატეთ 10 მლ ნატრიუმის თიოსულფატი 10 მლ სატესტო ხსნარზე. შეურიეთ კარგად და დააყოვნეთ 30 წამი. დაამატეთ 2-3 წვეთი ხსნარის ინდიკატორი. საბოლოოდ ხსნარი უნდა გახდეს გამჭირვალე.

კალკულაცია: w/w **Easyfoam** = ტიტრი (mls) x 0.45
v/v **Easyfoam** = ტიტრი (mls) x 0.4
w/v **Easyfoam** = ტიტრი (mls) x 0.45

მოცულობები: 20 ლიტრი

Cleantech